საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ი/მ ელგუჯა ბასილაიას

ტელ:592 63 90 63

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან

ი/მ ელგუჯა ბასილაია (პ#29001001275) მარტვილის მუნიციპალიტეტი სოფელ სალხინოში ვფლობ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 41.14.36.331) სადაც უნდა მოეწყოს სასთბურე მეურნეობისათვის წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

სასათბურე მეურნეობის მოწყობა დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის პროექტების მართვს სააგენტოს მიერ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" -ის მე-7 მუხლის და მე-2 დანართის 1.3 პუნქტის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკრინინგის დასკვნის გასაცემად.

განცხადებას თან ერთვის:

1. სასოფლო-სამეურნეო ობიექტის სკრინინგის ანგარიში (7 გვერდი)
2. ინვოისები და სხვა სახის დოკუმენტაცია (8 გვერდი)
3. დამატებითი ინფორმაცია (2 გვერდი)

პატივისცემით

ელგუჯა ბასილაია

21/08/19 წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო + 02 + საფოსტო

№ 12038

"21" 08 2019

1/2 ფ.

ი/მ ელგუჯა ბასილაია

წარმოგიდგენთ დამატებითი ინფორმაციას

მარტვილის რ-ნი სოფელ სალხინოში მდებარე ჩემს საკუთრებაში არსებული ტერიტორიაზე საკადასტრო კოდი (41.14.36.331) სასათბურე მეურნეობისათვის წვეთოვანი სარწყავი სისტემის

სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით

დამატებითი ინფორმაცია

სათბურთან განთავსდება პლასტმასის ავზი 1,5 ტონიანი. ამ ავზში მოხდება წყლის მიწოდება პოლიეთილენის 6 ატმ. მილის საშუალებით და შემდგომ ავზიდან მოხდება პამიდვრის წვეთოვანი სისტემით მორწყვა.

მილსადენი მოეწყობა პოლიეთილენის 6 ატმ. მილით (მონაცემები მოცემულია ინვოისში რომელიც თან ერთვის). მილი ჩაიდება მიწაში 40სმ. სიღრმეში.

მილის ჩადების სამუშაო პროცესი იქნება შემდეგნაირი:

1. ამოღებული იქნება მიწის თხრილი 40 სმ სიღრმეზე.
2. ორმოში ჩაიდება პოლიეთილენის 6 ატმ. მილი.
3. მიწის თხრილი შეივსება ისევ იგივე მიწით.
4. აღნიშნული საქმიანობა მიწის ხარისხის ან რაიმე სხვა ფორმით შეცვლას ფუნქციურად და სხვა კუთხით არ გამოიწვევს.

ტერიტორია სადაც უნდა გაიაროს პოლიეთილენის მილმა და დაყენდეს აკაციის ბოძები ელ სადენის გასაყვანად წარმოეადგენს კერძო საკუთრებებს.

იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ან სხვა დაწესებულება მოითხოვს რაიმე სახის შეთანხმებას/ხელშეკრულებას იმ პირებთან რომლის საკუთრებას წარმოადგენს ტერიტორია სადაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული სამუშაოები წარმოდგენილი იქნება აღნიშნული შეთანხმება/ხელშეკრულება შესაბამისი ნორმებისა და კანონმდებლობის დაცვით.

ელექტრო ტუმბომდე დენის წყაროს მიწოდება მოხდება ჩემს საკუთრებაში არსებული ტერიტორიიდან. (კერძოდ: ელექტროენერგიით ელექტრო ტუმბოს უზრუნველყოფა მოხდება საწარმოს ტერიტორიიდან)

პოლიეთილენის 6 ატმ. მილის გაყოლებაზე დაყენდება აკაციის ბოძები, სადაც დამონტაჟდება ელ. სადენი სიპი კვეთით 2,35. (პარალელურად ერთმანეთს გაყვება მილისა და ელ. გაყვანილობის ტრასები. მილი იქნება მიწაში, ხოლო ელ. სადენი ჰაერზე აკაციის ბოძებზე მიმაგრებული შესაბამისი უსაფრთხოების, სტანდარტებისა და ნორმების მიხედვით დამონტაჟებული)

აკაციის ბოძები და ელ. სადენი იქნება სამშენებლო ნორმების, სტანდარტების მიხედვით შერჩეული, მისი მშენებლობა შეთანხმდება შესაბამის ადგილობრივ სამსახურებთან.